ᲙᲕᲘᲠᲐ 12 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ 1916 Წ.

ᲤᲐᲡᲘ 12 ᲙᲐ�პ.

რედაქციის ადრესი: თბილისი, ოლღას ქუჩა № 6.

ᲔᲨᲕᲐᲓᲘᲡ ᲛᲐᲗᲠᲐᲮᲘ

ᲘᲣᲛᲝᲠᲘᲡᲢᲣᲚᲘ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘ

№ 24



Კ. ᲐᲤᲮᲐᲖᲘ. ᲒᲐᲕᲘᲬᲘᲣ, ᲐᲠ ᲒᲐᲛᲘᲨᲕᲔᲡ,
რᲝ ᲨᲔᲕᲩᲔᲠᲓᲘ ᲐᲠ ᲨᲐᲛᲘᲨᲕᲔᲡ.

რედაქციისაგან.

არავისთვის საეჭვო საგანს არ შეადგენს, რომ ჩვენს ჟურნალს დღემდე ერთი ფრიად თვალსაჩინო ნაკლი ასულდგმულებდა.

ეს გახლდათ „**მოწინავე**“ წერილების უქონლობა.

დღეს დღეობით ძნელი გამოსარკვევია, თუ რით ხელმძღვანელობდა ჩვენი სარედაქციო ქოლექტივი, როცა მთელი წლის განმავლობაში გვერდს უვლიდა ამ მწვავე საკითხს. ძნელი გამოსარკვევია, ვინაიდან ეს ტრადიციულათ მომდინარეობს სახუმარო ჟურნალთა დაარსების დღიდან და ამ საშიშარი ომის დროს ეგზომ შორეული წარსულის გაშუქება ფრიად ძნელი საქმეა. ბ-ნი ეშმაკი, როგორც ცოცხალი მოწამე ამ ისტორიული ხანისა, გამოსთქვამს ასეთ მოსაზრებას:

— ჩემის აზრით მოწინავე ძერილთა განდევნას საფუძვლათ ედო გრძნობა მკითხველთა დაზოგვისა.

დღევანდელ სარედაქციო კოლეგიას პირდაპირ გაუგებრად მიაჩნია ბ-ნი ეშმაკის განცხადება. ვაუგებრად მიაჩნია, ვინაიდან ვერ მოგვინახავს საბუთი იმისი, თუ რისთვის უნდა დავზოგოთ ჩვენ ჩვენი მკითხველები. ეს ერთგვარი მეტიჩრობა იქნებოდა ჩვენის მხრით, ვინაიდან ასეთ ქველმოქმედებას არ სჩადის არცერთი ქართული გამოცემა, თუ რასაკვირველია ქართულად არ ჩავსთვლით „ზაკ. რეჩს“, რომელიც რუსული ასოებით იბეჭდება.

ამ სამართლიან მოსაზრებისა და მრავალ ამგვარ განმარტებათა შემდეგ დღევანდელმა სარედაქციო კოლეგიამ ერთხმათ დაადგინა უარჰყოს ძველი ფილანტროპიული აზრები და დაუბრუნდეს ნამდვილ ქართულ ცხოვრებას. ამიტომ ნურას უკაცრავათ ჩვენს მკითხველებთან, თუ მომავალი ნომრიდან „ეშმაკის მათრახს“ დაუჩეს **მოწინავე** წერილები ცხოვრების მიერ წამოყენებულ ამა-თუ იმ მწვავე საკითხთა შესახებ.

აქვე ვაცხადებთ, რომ სრულებით საჭირო არაა ჩვენი ბოროტ-მოქმედება გაზვიადებულ იქმნას და ამით მკითხველმა საზოგადოებამ გული გაიტეხოს. რედაქცია ყოველგვარ ღონისძიებას იხმარს „**მოწანავე**“ წერილები რაც შეიძლება იშვიათად გაუშვას და რაიც უფრო საგულისხმიეროა საგრძნობლად შეაკვეცოს ფრთები.

გამხნევდით ბატონებო! გარწმუნებთ, რომ ჩვენ გაცილებით მეტ სახუმარო ელემენტს შევიტანთ ჩვენს **მოწინავე** წერილებში, ვიდრე ამას თვით გაზეთი „ზვირთი“ სჩადის და მით საგრძნობლად შევამსუბუქებთ იმ სატანჯველს, რომელსაც იწვევს საზოგადოთ მოწინავე წერილთა კითხვა.

პატივისცემით „ეშმაკის მათრახის“ **რედაქცია**.

დამფუძნებელი კრება.

ბატონებო! ეს მეორე **დამფუძნებელი** კრებაა, რომელსაც ჩემი ხანგრძლივი არსებობის სივრცეზე ვესწრები. ვშიშობ, ნუ თუ დავესწრები მესამესაც?! ვშიშობ, უზომოდ ვშიშობ!

მიკვირს მხოლოდ ერთი გარემოება. 1905 წ. ჩვენს ქვეყანაში დიდი სახალხო მოძრაობა იყო. მე დარწმუნებული ვარ ზოგიერთ თქვენგანს ჯერ კიდევ ეხსომება ეს ამბავი. და აი, სწორეთ ამ მოძრაობის დროს დიდი და პატარა, ქალი და კაცი, ერი და ბერი, მოყვარე და მტერი ყველა თავგამოდებით მოითხოვდა **დამფუძნებელი** კრების მოწვევას. ვფიქრობ, ვფიქრობ, რამდენათაც კი შემიძლია სახალხო სკოლის მასწავლებელს, და მაინც ვერ მივმხდარვარ: რისთვის თხოულობდა ხალხი ისე დაჟინებით დამფუძნებელი კრების მოწვევას 1905 წელში?

იძულებული ვარ ამ კითხვის გადაწყვეტაში იმ დასკვნას დავადგე, რომ მან (ხალხმა) არ იცოდა თუ რა არის დამფუძნებელი კრება. ჭეშმარიტად არ იცოდა, ან კი საიდან უნდა სცოდნოდა, როცა 1916 წლის გაზაფხულამდე მას არაფერიც არ დაუფუძნებია. არ დაუფუძნებია იმიტომ, რომ ყველაფერს სასარგებლოს და მშვენიერს თითონ ბ-ნი ბოქაული გვიფუძნებდა ხოლმე.

დიახ, ხალხმა არ იცოდა რა იყო დამფუძნებელი კრება. დღეს ჩვენ ვიცით და შეგვეძლო აგვეხსნა ხალხისათვის, მაგრამ აქ ერთი გარემოება გვეღობება წინ. საქმე იმაშია, რომ „ეშმაკის მათრახის“ მორიგი ნომერი, რომელშიაც მსურდა გამეცნო საზოგადოებისათვის ეგ საკითხი და მაშასადამე შევხებოდი ზემო აღნიშნულ დამფუძნებელ კრებას, გამოვა პარასკევ საღამოს (ე. ი. კრების დაშლამდე) და მე ვალდებული ვარ დავესწრო შაბათის კრებას.

სიფრთხილეს თავი არ სტკივა! (თუმცა დამფუძნებელ კრებაზე დამხწრეს ვერავითარი სიფრთხილე ვერ დაიფარავს თავის ტკივილისაგან) მეც გადავსწყვიტე ჩემი აზრი „დამფუძნებელ კრების“ შესახებ გამოვაქვეყნო მაშინ, როცა თითოეული მასწავლებელი ქალი თავის სოფელში იქნება ხის ქვეშ ჭილობზე წამოწოლილი. როცა ის გადაშლის „ეშმაკის მათრახის“ ფურცლებს და ჩაიკითხავს ჩვენს ანგარიშს აღელდება, მაგრამ ეს მღელვარება, ჩემთვის არავითარი საფრთხე აღარ იქნება.

დიდი-დიდი, მღელვარებაში ჟურნალი დახიოს!

ეშმაკი.

ყ ვ ა ვ ი.

(იგავი)

მტრედის გუნდი გაიშალა
საუზმისთვის ერთ მინდორზე.
ეს რომ ყვავმა დაინახა,
მაღლა იჯდა ხის კენწორზე,
მან სთქვა: „ნატვრა ამისრულდა
და მადლი შენ, გამჩენოო,
რომ შემთხვევა მეძლევა დღეს
ეს კრება დავამშვენოო.
თუმც არ მომწონს სუსტი მტრედი,
უშნო რაღაც, ულამაზო,
და მათ შორის რომ დავდგები,
ისე უნდა გავინაზო,
რომ იმ კრების სასახელო
და ძვირფასი გავხდე თვალი,
მიხვრა-მოხვრის შნო, ლაზათი
და სიტურფის დედოფალი.
ესა სთქვა და ხის კენწორით
ჩამოეშვა ზლაზვნით ნელა,
და სადაც ის ჩაებერტყა,
ის ადგილი დააბნელა...
გაიარ-გამოიარა,
მოიღერა ეშხით ყელი,
ვათომც იყოს დიდი რამე
თვალი ქვეყნის სანატრელი!
სწორეთ ამ დროს, შავარდენი
წამოვიდა ციდან სწრაფად
და დააცხრა მტრედის გროვას
მსხვერპლის შვაზე გასაკაფად!
მაგრამ დახეთ მტაცებლის ბედს!
მტრედმა ყველამ თავს უშველა
და ყვავს, მოსულს სამეტიჩროდ,
თავს დაატყდა ხათაბელა!
ელვათ ქცეულ შავარდენმა
თავი ვეღარ შეიკავა,
ბრჭყალ ნისკარტი ჩასცხო ყვავსა
და იქავე გაათავა...

—

ბევრი არის ჩვენშიც ყვავი,
მტრედებში რომ ეხირება
და მეტიჩრულ თვის განზრახვებს
სასაცილოდ ეწირება!..

ონისიმე.

მესტვირული

(ს. ოქროსქედისათვის)

მოვნახე სტვირი, მოვნახე
გუდაც, კუთხეში გდებული,
რომ მოვიარო სოფელი,
ყოველი კუთხე ქებული.
და, ჰა მივდირარ სამღერათ
მისმენდეთ ყურ დაგდებული.
ბახვში დავიწყებ სიმღერას,
(არ მითქვამს დიდი ხანია).
ძვირი არ მეთქმის, რადგანაც
სოფელი ძალიანია.
საქველმოქმედო საქმეში
პირველ-ხარისხოვანია.
გავუყევ ისევ გალმისკენ
ბევრი არ დამგვიანია,
სიმღერ-სიმღერით წავედი
არვინ არ წამიტანია.
სოფელ ოქროს-ქედს მივადექ
დამჭირდა თარჯიმანია.
შევჩერდი, თუმცა არ მქონდა,
დრო თავის შესაფხანია.
ჩამოვჯექ იმა ალაგას,
სადაც სდგამენ ახალ შკოლას!
ვაი დედავ! რას შევესწარ
აქ შეტევას და მკაცრ ბრძოლას!
ხელში სტვირი მოვიმარჯვე
შევუდექი მათ შემკობას!..
— დიმიტრი და იაგორავ!..
ჰა მოველი... მოსიმღერე
და რაც გითხრა, ან გიმღერო,
ყური მიგდე, დამიჯერე.
ეშმაკს რისთვის აჰყოლიხარ!..
სჯობს პირჯვარი გადიწერე.
რაც ამდენხანს „იშიკრიკე"
აწ იკმარე, დაიჯერე.
კიდევ ვკითხე რისთვის მოგდით
სისაძაგლე, საქმე ავი,
ნუ თუ ველარ გაარჩიეთ
თეთრი რაა! და ან შავი?!
თურმე ენას ფუჭეთ ვღალავ,
ვინ არს მათი დამთრგუნავი
და ან რამეს შემასმენი
მათი გულის მომღალავი.
თურმე იმათ გულში უზის
ეშმაკი და უხილავი.
და მათთან მოლაპარაკეს
სდომებია როკის თავი.
მოვშორდი გულ დაწყვეტილი,
ილარიონს ვეახელი
ორი სიტყვა რო მოვასწარ
შემოიდგა თავზედ ხელი.
ვკითხე: ალარ დაილია
შენი მოსატყუებელი?
„ჩოხა" „ჩექმის" გამოცვლისთვის
საქმე რად ქენ საძაგელი
ზოგს თუმანს სთხოვ, ზოგს ხუთ მანეთს,
გაატყავე მთლად სოფელი.
გვიან მიხვდენ რომ მოსტყუვდენ,
სკოლის საქმის მომნდობელი.
დღეს გიმზერენ შურის თვალით,
გარეშე და მეზობელი.
გეტყვი, ტყავის გაძრობაში,
ვერ გჯობნია არსენ მღვდელი.
(თურმე რამდენიც რა უთხრა,
მისგან პასუხს, ნუ მოელი...)

შხამიანი.



გურული სცენა.

რაცხა ეშმაკათ წროულს ადრე მაყიდვია ჩემმა კნეინა მაკოიამ აბრეშუმის კაკალი, ადრე გვეღირსოს ეგება ორი კაპეიკიო. ადრე მოგესრო ყოლიფერი, ადრე ქე ვაკეთეთ, ერთი ბობოლიც არ მომკვდარა, ყველამ პარკი გააკეთა, მარა, რაი, ჯერ მაზანდა არ გახსნილა, ჩვენ ვაჭრებს გიეხსნა თავის ხაპი, რომ რამე იყოს, მაინც არ იტყვიან ჯერ. დევიღუპე კაცი, ჩუუვარდი ხელში. არ მომისვენა უბედურმა მაკოიამ, რავარცხა გავყიდით, გავყიდოთო. რას ვიზამდი... ავწიეთ და ჩევიტანეთ ჩახატურში და დუუტიეთ მასიკო ცინცაძეს. ჯერ მაზანდა არ არისო და როცა იქნება, მაშინ იმ მაზანდაზე გიანგარიშებო...

დავეთანხმეთ, აბა რა გზაი იყო მეტი, ქე შემეშინა, არ გამოპეპლოს მეთქინ... ჩემი მაკოიე დიეღრიჯა:—ჩემო მასიკო, თუ მამაშვილობა გწამს, პირველი მაზანდა დაწეული იქნება და როცა ეიწიოს მაზანდა, აწეულზე მიიღე ჩემი საქონელიო... კაიო, უთხრა, და რაცხა პაწაი ფული ქე გამოგვატანა.

ავხაზირდით წყალტუბოს წასავალათ... დარები ქე იყო კარგი... საჯავახომდი ფეხით ჩამოვედით, აბა გზაზე ხომ არ გეიარს ფაიტონი, ისეა მოკენჭილი... მე ქე მინდოდა ფაიტონით წასვლა, მარა მაიკოიამ არ მენდო, ხომ არ გაქანჯალებულხარ ჭკუაზე, თავი ხრამში დასანტროვათ კი არ მინდაო... ავდექით დილას, გავყევით ძირ-ძირ, კორიფაძეების გზით, გევედით ბერძნის წყაროზე, დავადექით მოკენჭულს და რავარც იქნა ჩუუსარით პოვეზდს... ჩავჟედით შით და გაუყევით ქუთაისს... რიონის ტანციაზე პერესატკაზე ქე გაგვაჩერეს კაი გაყოლე... პაწე ქეც მოგვშივდა... ბუფეტში ვჭამოთ რაცხა მეთქინ, ვუთხარი მაკოიას, მარა, მითხრა, ბეჩა მაქანე ერთი ლუკმა ახლა მანათი ეღირებაო. ქე მაჯობა ჭკუით. დარეკეს ზვანოკი და ჩავჟედით პოვეზში ჩავედით ქუთაისში... მივედით გოგია ჩხაიძესან... ააშენა ღმერთმა, ქე არის კარგათ მოწყობილი, მარა ერთი კი არ მომწონს, რესტორაციეს დახვეტა-დასუფთავებაში ნემეტარ ვოკომონიას იჭერს. მე მაინც მისი სტუმარი ვარ, რაც უნდა იყოს, ჩვენებური კაცია... ვჭამეთ სადილი და მერე ჩემ კნეინას ლომერში მუუსვენე, კაი მოძვალბილებული იყო, არ ქონდა გნაცის თავი ისე იყო დაღალული, მგონი წყალტუბოს წყალმა კი არა, უკვდავების აბანომ ვერ უშველოს... დაწევი აქანე, წეიძინე მეთქინ და დილას, წევიდეთ წყალტუბოზე მეთქინ. ბეჩა მეც ქე მინდა საცხა გევიარგამევიარო ამ გოროდშიო... ვაიმე, ვიფიქრე, თუ ამან ახლა გამომეკიდა კუდში, იმისანა, იმისანებს დუუნახავს ქალებს, რომ მერე ჩემი სიცოცხლე აღარ ეღირება მეთქინ.

— არა ბეჩა, ახლა კიდომ რომ იარო, გრამატიზმის ქარები ისე გაგიმიზეზებს, რომ მოგკლავს მეთქინ. ქე დამიჯბრა. რავარც წიეძინა და ვცოცხე ბულვარდისკენ, იმ დღეს მასწავლებლების საასარგებლოთ გულიანიე ყოფილიყო ბაღში. შეღამებული იყო, მარა ისე იყო, განათებული ყოლიფერი რომ შუადღე გეგონებოდა... ხალხი ნელნელა მიდიოდა ბულვარში. ვიკითხე, ბილეთი რა ღირს მეთქინ... მითხრეს, ბილეთი ექვსი შაური ღირსო. ვიფიქრე, ექვსი შაური რა უნდა იყოს, იგიც საწყალი მასწავლებლების სასარგებლოთ ყოფილა მეთქინ. ვიყიდე, მარა შით ჩასვლა უცებ მაინც ვერ გავბედე, ასეა ხამი კაცის საქმე, ყოლიფერის ეშინია. ერთი ხუთ ექვსჯერ გარედამიდან შამოუარე ბულვარდს კრუგომ, ვატან თვალყურს თუ რანაირ პრავილაზე უნდა გულიანიე ბაღში, რომ არ შემცდეს მეთქინ. ვეფერი ვერ მივხვდი მაინც ისე ირევოდა ხალხი ერთმანეთში ჯინჭველებსავით. მერე ერთ კაცს ვკითხე

— ამ ბილეთით სათ დამაჟენენ ბულვარდში მეთქინ.

— სადაც გინდა, იქინე დაჯდებიო, მარა ახლა დასაჯდომს ნუ ეძებ, ფეხზე დასადგომს თუ კი იშონიო.

— თქვენ რეიზა არ ჩაბძანდით ბატონო შით?

— შით კე ჩავალ მარა, ერთი სამი მანეთის მეტი არ მიჭყავა ჯიბაში და იგი რას მიზამსო.

— რავა, ბილეთი ექვსი შაურის მეტი ხომ არა ღირს?

— კი, მარა ბილეთი მარტო რა არის, სხვაიც უნდა იყიდო რამე, რომ არ იყიდო, ძალათ გაყიდვიებენ. აი, უყურე აქიდან, რაღა გინდა შით.

ქე დუუჯერე. მივზდევ ჩემ ნაცნობ კაცს უკან და ვუტრიალებ ბულვარდს. ნენა, ნენა, რაფერ გამაკვირა, რაფერ გადამრია ამ მოდნი კაბებმა, შლაპებმა და პოლსაპოჩკებმა. ქვეყანა იქცევა და აგე-

ნიზა აღდგომა ყოფილა აგი ვაინი. ნათქვამია, ერთი მოდა ყოლიკაცს მუუაო. ერთი პოლსაპოჩკი ეცვა ერთ ციცას, აბნეული, ჩაბნეული, ახლართული, გადახლართული, ვიფიქრე, რაც უნდა დამემართოს, ამას კი ვუყიდი ჩემს გოგოს ხვარამზიას და ჩუუტან სახლში მეთქინ... ვკითხე ჩემს ნაცნობს, იმ ციცას რომ აცვია, რა ეღირება იგი მეთქინ...—რა ეღირება და სამი თუმანიო. ენა არ ამომიღია...

მოხუცებული კაცი კი ვარ, მარა ასე იყვენ გამცწყობილი ქუთეისის ბარიშნები, რომ გული ამიბლაზურდა. ყოლიფერი უჩანდენ გარდამიდან. მხრები შიშველი, გულმკერდი შიშველი, კაბა ბადესავით. ვიფიქრე, ვისეირნებ, რაც იქნეს და იქნეს, ჩავალ ბაღში, ვინმეს გევეზნაკომები ბარიშნას მეთქი, ვათვალიერე, მარა ერთი სლაბოდნი ბარიშნა ვერ დავინახე, თითო ციცას ხუთი პრაპორჩიკი დასდევდა... ვკითხე ერთ კაცს, თუ კაცი ხარ მითხარი, ამდენი პრაპორჩიკები რომ არის ამ ქუთაისში, ქალიშვილებს ვაინს ხომ არ უცხადებენ მეთქინ... ქალიშვილებს კი არა, ქალიშვილებმა გამოუცხადა მაგენს ვაინიო... რავა მეთქი, ვკითხე.—რავაო და, თითოულს რომ ასი და ორასი მანათის ტანისამოსი აცვია, პრაპორჩიკების წყალობაა.

ვუტრიალებ და ვუტრიალებ ბულვარს კრუგომ. გევიხედე, მოცვინდენ ციცეები ერთ კაცთან, მიარჭვეს რაცხა ქახალდი გულზე და კაი ტლიკვი მანათიანი გადააშვლეტიეს. ბიჭო, გადავრჩენილვარ კაცი, ვფიქრობ გუნებაში, ახლა რომ იქ ვყოფილივავი, მეც ქე არ მომარჭობდენ რაცხას გულზე და ქე ვჭამდი სირცხვილს. გევიხედე ეგერ, და ერთი შუა ხნის ქალი კივილ წივილით მივარდა ერთ ციცასთან და შეკივლა:

— შვილო, ვალენტინა, ვინ გამოგჭრა კისერიო.—მიცვინდა ხალხი, დედამისი მოხვევია ციცას და უსობს კისერში ხელს. გაშეშდა საწყალი ციცაი, მერე შესკტა ყველას სიცილი; გავკვირდი, რა იმბავია ნეტაი მეთქინ.—მერე გევიგე, თურმე ციცას წითელი ლენტი ქონდა მოდნათ კისერზე შამობმული კრუგომ, ლენტი მოსაქცევი ყოფილიყო, იმდენი ერბინა საწყალ ციცას, რომ ოფლი წყალსავით მოდიოდა, ოფლმა წითელი ლენტი დაალბო და წითლათ შუუღება კისერი, დედამისს აგი თურმე სასხლი ეგონა... აი, რომ გევიგე ბევრი ვიცინე მეც. გევიხედე მეორე კედრით და ერთ ბარიშნას ბრეწოულის ყვავილსავით წითელი ტუჩები აქ, სწორეთ შემეხარბა, ვუყურებ, თვალებს არ ვაშორებ, აგერ მივიდა ლიმონათი დალია, მეიშორა ქიქა პირზე თუ არა, რაცხა სისხლსავით გადმიღვარა ჩარბზნ, შემეცოდა საწყალი, ვიფიქრე, რეიზა გუუსკტა ჩარბი, სისხლი, რომ გამოდინდა მეთქინ. თურმე გუუსკტს კი არა, შეღებილი ქონია ჭიშფერით ჩარბი და წყალი რომ დალია, ქე ჩამეტანა საღებავი. შემეზარა მერე მისი შეხედვა. აგიც შენი მოდნა, ზოგს კისერში მოდივა სისხლი და ზოგს ტუჩებზე და ზოგს კიდომ რა ვიცი სათ. დასწყევლოს ღმერთმა გოროდი, დეილოცა სოფელი... იქინე ამისანას ჯერ ვერ ნახავ, მარა მალე იქინეიც ჩამუა ჩვენში და წაახთენნენ ჩვენს ციცეებს. შემიწუხდა გული და გავყევი ჩხაიძის რესტორანისაკენ ჩემს მაკოიასან.

კიდომ კაი, რომ იგი არ მახლდა, თვარა გაიდირეოდა... დასწყევლოს ღმერთმა, შევხვთები ყოველთვას ასეთ ამბავს, რავა მინდა იგი რომ საქვეყნოთ ვილაპარაკო, მარა, ვინცხა ჯანდაბა ლუკაიეს ობოლია თუ რაცხა, იგი რეიზა არ მიეწია მამა მისს, ეშმაკივით ყოველგან გამიჩნდება და ყურობს ყოლიფერს, რასაც ჩემ მაკოიასან ვიტყვი და გამოათარეშებს გაზეთში. თვარა, რავა მინდა აგი რომ ქვეყანამ გეიგოს... აბა, ახლაც თუ არ დამიწერონ აგი გაზეთში...

ლუკაიეს ობოლი.

ცხვრის ძაღლები

ორი ძაღლი წაიკიდა:
მალამაზა და გომფარა.
ერთმანეთსა ულრინავდენ
სხვებს კი დარჩათ ცხვრისა ფარა.
ტყავნი სულ მთლად დაახიეს,
ქეჩო გავა მძლავრი კბენით,
ცხვრებსა კი სხვა შეექცევა...
მწყემსი სტირის ცრემლთა დენით.
არ გაჩერდენ, გაამრავლეს
უთავბოლო ღრენა, ყეფა,
ველარ ვუძლებ ამდენ ჩხუბსა
ამატკიეს თავის კეფა.
ვერ მიმხვდარვარ ამათ ჩხუბსა
ნეტავ რა აქვთ გასაყოფი,
ნუთუ არ ჩანს სალაფავი
საკმარისი და სამყოფი?!

ერთხელ ვკითხე მტირალ მწყემსსა
მათი ჩხუბის საბუთები;
მიპასუხა: ამათ ჩხუბსა
შეადგენენ ა, ის მთები.
ერთსაც უნდა, მეორესაც
მთას საკუთრად პატრონობდეს,
საქმეს ისრე განაგებდეს
თავის ჭკუით ვითა სჯობდეს.
მხოლოდ იმას არ ფიქრობენ
ეგ ტვინ თხელა სულელები,
რომ იმა მთას პატრონობენ
უფრო მძლავრი ცხოველები.
ახლა ცხვრებზე კამათობენ,
თავ-თავისად ჩემულობენ.
ერთ ბანაკში ვერ მოთავსდენ
თეთრსა და შავს შუა ჰყოფენ.
— შავი ცხვარი მე მეკუთვნის.
ყეფით ამბობს ეს გომფარა.
შენ ხვედრებმა მოგვატყუეს
თეთრი ტყავი გადიფარა.
მალამაზა უპასუხებს
—შენც ხომა ხარ თეთრ ტყავაო
ჩვენ რომ მაგას გამოვუდგეთ
იცი საქმე სად წავაო.

რა მიამბო მწყემსმა ესრე,
მე მათრახი მოვუღერე,
ამ ქვეყნისა დამლუპველებს
ბეჭებ შუვა დავაკერე.
თან შევძახე: წადით მთებში
თქვენი იყოს ორივესი
ცხვართ მიეცით მოსვენება,
არ გოდებდეს თქვენგან მწყემსი.
გამოვბრუნდი, მხოლოდ უცბათ
გზაში რაღაც გამახსენდა:
იმ მათრახთან თავზედ ლაფის
გადავლებაც არ აწყენდა.

ან. განჯისკარელი.

მოწოდება.

ქართველმა საზოგადოებამ ჩინებულათ იცის, თუ რა ჯოჯოხეთურ პირობებშია ჩაყენებული ჩვენი სკოლა. ქართველი ბავშვი იძულებულია ისწავლოს: საღმრთო რჯული, ქართული, რუსული, ლათინური, ფრანგული და ნემეცური ენები, ანგარიში, გეოგრაფია, გეომეტრია, ალგებრა და სხვა მრავალი. ყოველივე ეს ბავშვის აგებულებისათვის ერთობ მძიმე ტვირთია და ტვირთ-მძიმეს სად შეუძლია სიჩაუქე და ნავარდი. ის იძულებულია ნელის, მტკიცე ნაბიჯით იაროს.

მთავრობამ კი განსაზღვრა მანძილი, რომელიც მოწაფემ ერთ წელიწადს უნდა გაიაროს. ვინც ამ მანძილის ბოლოს ვერ მიაღწევს, იგი იძულებულია ისევ დასაწყისს დაუბრუნდეს. ეს არა ნორმალური მდგომარეობაა და ამიტომ ვითხოვთ, თუ მანძილის (ე. ი. პროგრამის) შემოკლება არ შეიძლება, უთუოდ გადიდებულ იქმნას დღეთა რიცხვი წელიწადში 100%. ახლა უბრალო მოსამსახურეებს უმატებენ ასსა და ორას პროცენტებს, ნუ თუ მთელი ერისთვის არ შეიძლება წელიწადს 365 დღე მოემატოს?

იმედია ქართველი საზოგადოება და უმთავრესად ქართველი თავად-აზნაურობა მხარს დაუჭერს ჩვენს მოთხოვნილებას:

730 დღე წელიწადში!

თფილისის სათავად-აზნაურო გიმნაზია.

P. S. ამ მოთხოვნილების ასრულება თვით თავად-აზნაურობისათვისაც სასარგებლო იქნება, რადგან 730 დღეში მას შეეძლება მოასწროს ჩვენი ანგარიშების ასავალ-დასავალის გაგება.

მგოსანი და მუზა.

ერთხელ მგოსანსა
შემოსწყრა მუზა,
გარეთ გავიდა
და აიტუზა
იქვე კარებთან
მრისხანე სახით;
ემუქრებოდა
სიტყვებით მკვახით.

სახელ. დუმამ მიიღო კანონ პროექტი კვირაში
4 დღის მარხულობის შესახებ.
(ჟურნალ გაზეთებიდან)

ეს. სწორეთ დროზე მოგვისწრო...

ბევრი ევედრა
მგოსანმა, მარა
იმისი თხოვნა
არ შეიწყნარა.
— რა გინდა ძმაო?
რათ გამიწყერი?
მზათ ვარ დაგითმო
სუყველაფერი,—
უთხრა ბოლო დროს
მგოსანმა მუზას,
თავის სიცოცხლის
საჭეს და ღუზას,—
ოღონდ მითხარი,
რას ითხოვ ჩემგან?
— ქონების ნაწილს,
როგორც ძმა ძმისგან.

ამ ორმოც წელში
რაც გვიშრომია,
აბა, მითხარი,
მე რა მხდომია?
— კეთილი. მაგრამ
რა გვაბადია?
— მჰ... შენი ფიქრი
ჩემთვის ცხადია.
მიისაკუთრო
გინდა ყოველი...
ფლიდი ყოფილხარ,
სისხლის მწოველი!
— დამშვიდდი, ძმაო,
ნუ მწამებ ცილსა,
სიმართლის მღერალს,
პარნასის შვილსა.

„სახ. დუმამ მიიღო კანონ-პროექტი კვირაში ოთხი დღის მარხულობის“ შესახებ.
(ჟურნალ-გაზეთებიდან).

ის. რა გაეწყობა, როგორმე უნდა გაუძლოთ, დღეს მეოთხე დღეა მარხვისა.

რაც მაქვს გაგიყოფ,—
და თანვე ყველა
წინ დაულაგა
თითოთ ნელ-ნელა:
უფსკერო წალა,
ძველი ხალათი
და ცალიერი
პურის კალათი.
— ჩვენი ქონება
არის სულ ესა,—
უთხრა და მწარეთ
ამოიკვნესა.
— სხვა არაფერი
შეგვიძენია,
ტყვილათ დავშრიტეთ
გრძნობის გენია?!

— კი, როგორ არა:
გვირგვინი, ტაში.
— ეგ ჩვენ რათ გვინდა,
გვარგია რაში?!
უჰ, რა კარგია,
როდესაც გშია,
ტაშსა გიკრავენ
და განგაშია!..
რას იზამ? მწერლის
ბედი და ჯილდო
სულ ეს ყოფილა...
მეც უნდა ვზიდო!
სთქვა და მგოსანს კვლავ
მოხვია ხელი
და შერიგების
კოცნა, გულწრფელი,

ისევ გაისმა
არე მარეში.
ვიდრე არ ჩაწვენ
ცივ სამარეში,
არ დაუგდიათ
ქნარი წკრიალა,
თუმც შესვეს ბევრი
მწარე ფიალა.

ვ. რუხაძე.

ცუდი ბავშის ისტორია.

მარკ ტვენი.

სცხოვრობდა ერთი ცუდი ბავშვი, სახელათ ჯიმი. მართალია, თუ დაუკვირდებით ადვილათ მიხვდებით, რომ ცუდ ბავშებს ყოველთვის ჯემსს ეძახიან ზნეობრივ შინაარსის წიგნებში და საკვირველია ამას ჯიმი რატომ ერქვა, მაგრამ ეს სწორეთ ასე იყო.

წარმოიდგინეთ, არც ავათმყოფი დედა ჰყოლია მას, კეთილ მორწმუნე ავადმყოფი დედა, რომელიც ჭლექისაგან იტანჯება და დიდის სიამოვნებით განისვენებს საუკუნო განსვენებით, თუ რომ თავისი ბიჭიკო არ უყვარდეს და არ ეშინოდეს

სიკვდილის შემდეგ ბავშვის გასაჭირისა. ცუდი ბავშვების უმეტესობას, ზნეობრივ შინაარსის წიგნებში, ყოველთვის ავათმყოფი დედა ყავთ, რომელიც გულკეთილად ასწავლის მათ: „უფალო და მეუფეო...“, შემდეგ ფრთხილათ არწევს, ნაზ ნანას უმღერის, დააძინებს, სიყვარულით აკოცებს და მისი საწოლის წინაშე მუხლ-მოდრეკილი მხურვალე ლოცვას აღავლენს და ცხარე ცრემლით სტირის. ამ ბიჭის საქმე სულ სხვანაირათ იყო. ჯერ ერთი მას ჯიმს ეძახდენ, ამასთანავე დედა მისს არც ჭლექი სჭირდა, არც სხვა რამ მაგვარი. პირიქით ის ღონიერი, ჯანმრთელი დედაკაცი იყო და კეთილმორწმუნეობისაც ბევრი არაფერი გააჩნდა. იგი სრულიადაც არა ზრუნავდა ჯიმის ავ-კარგის შესახებ. ის ამბობდა: ჯიმმა კისერიც რომ მოიტეხოს, ამით ქვეყანას დიდი არაფერი დააკლდებაო. დაძინების დროს იგი ჯიმს ხანდისხან კიდევაც წაუტყაპუნებდა თავში, მაგრამ არას დროს მას სიყვარულით არ ჩაჰკონებია.

ერთხელ, ამ საძაგელმა მავშმა საკუჭნაოს გასაღები მოიპარა, შეძვრა შიგ, თითქმის სანახევროთ ამოსჭამა ქილიდან მურაბა და რომ დანაკლისი არ შეემჩნიათ ქილა კუპრით შეავსო. მაგრამ, წარმოიდგინეთ, ის არ შეუპყრია მოულოდნელი შიშის გრძნობას და იდუმალ ხმას არ ჩაუძახნია მისთვის: განა კარგია დედას რო არ უჯერი? განა ცოდვა არ არის ქურდობა, ხომ ჯოჯოხეთში ჩაცვივიან შეუსმენელი ბავშვები, რომლებიც საყვარელ დედას მურაბას ჰპარავენ და ნთქავენ?“. ჯიმი არც მუხლებზე დაცემულა ამის შემდეგ და არც აღთქმა დაუდვია, რომ გასწორდება, არც წამომდგარა მხიარული და არც წასულა დედასთან დანაშაულობის გასამხელად, თუ ცოდვათა მოსანანიებლათ. არც დედას დაულოცავს იგი სიამაყისა და გულკეთილობის ცრემლთა მფრქვეველს. არა. ასე ხდება ყველა სხვა ცუდ ბავშვთა ცხოვრებაში, რომელთა შესახებ სწერენ ზნეობრივ შინაარსის წიგნებში. ჩვენს ნაცნობ ჯიმს, ახირებული საქმე კია, სულ სხვანაირად დაემართა. იმან შესჭამა მურაბა და წარმოსთქვა: „ჩინებულია!“. დაასხა კუპრი და კვლავ იგი სიტყვა გაიმეორა, გულიანად გადიხარხარა და დასძინა: დედაბერი როცა გამიგებს, უთუოდ ყბებს მომიგრეხს ცემით. როცა დედამ ქილა ნახა, ჯიმი ცივ უარზე იდგა. სასტიკად მიბეგვეს და გულსაკლავადაც ილრიალა. ყველაფერი ამ ბავშვის ცხოვრებაში თითქო უკულმა ხდებოდა, სრულიად ისე არ გამოდიოდა, როგორც ცუდი ჯემსების შესახებ ზნეობრივ შინაარსის წიგნებში სწერია.

ერთხელ უხეირო ჯიმი მემამულე აკორნას ბაღში შეიპარა და ვაშლზე აცოცდა, მაგრამ ტოტი არ მოსტეხია, ძირს არ ჩამოვარდნილა და ხელი არ უღრძვია. არც მებაღის უზარმაზარ მურაძაღლს დაუღრღნია, არც რამოდენიმე კვირით ლოგინში წოლილა, არც სინანული განუცხადებია და არც კეთილ ბავშვად ქცეულა. მან დაჭგლიჯა რამდენი ვაშლიც უნდოდა, მშვიდობიანად ჩამოსრიალდა ხიდან და ჩინებულათაც მოიგერია ფერმერის ძაღლი, რომელსაც აგურის ნატეხით შიგ შუბლში გაუმასპინძლდა. პირდაპირ გასაოცარი მოვლენაა. არაფერი ამის მაგვარი არ ხდება იმ პატრარა მშვენიერ ყდიან და სურათებიან სასიამოვნო წიგნაკებში, რომლებშიც ზნეობრივ შინაარსის ამბები იწერება.

ერთხელ საძაგელმა ჯიმმა მასწავლებელს ჯიბის დანა მოჰპარა და შეშინებულმა, რომ მას უპვნიან და სცემენ ქურდობისათვის, დანა ჯორჯ უილსონის ქუდში დამალა, იმ ჯორჯ უილსონის, რომელიც სამაგალითო ხასიათის ბავშვად ითვლებოდა მთელ სოფელში, რომელიც ყოველთვის უჯეროდა დედის დარიგებას, არასოდეს არა სცრუობდა, გულმოდგინეთ იზეპირებდა გაკვეთილებს და ხალისით დადიოდა საკვირაო სკოლაში. როცა მოპარული დანა ჯორჯ უილსონის ქუდიდან გამოვარდა, როცა ის თავჩაღუნული დამნაშავესავით გაწითლდა, როცა გაშტერებულმა მასწავლებელმა შოლტი აღმართა ბავშვის მთრთოლვარე მხრებზე დასაკრავათ, არსად გამოჩენილა ჭაღარით შემოსილი მოხუცი მსაჯული, მედიდურათ არ ჩამდგარა მოსწავლესა და მასწავლებელს შუა და არ წარმოუთქვამს: „ხელი არ ახლოთ ამ კეთილშობილ ბავშს! აი იქა სდგას საზიზღარი ბოროტების ჩამდენი. მე სკოლის წინ მომიხდა გავლა დასვენების დროს და შევნიშნე, როგორ მოხდა ქურდობა“. ყოველივე ამის შემდეგ ჯემი არ გაუშოლტავთ და და პატივცემულ მსაჯულს არ წაუკითხავს ცრემლმორეულ მსმენელთა წინაშე გრძნობიერი დარიგება, არ მოუხმია თავისთან კეთილი ჯორჯი, არ უთქვამს, რომ ასეთი ბავშვი ღირსია უდიდესი ჯილდოსი, არ წაუყვანია თავისს ოჯახში, რომ ესუფთავებია მსაჯულის ოთახები და ეხურებია ბუხრები. არა. ასე მოხდებოდა ზნეობრივ შინაარსის წიგნაკებში, მაგრამ ჯიმის ცხოვრებაში ხომ ყველაფერი უკულმა ხდებოდა. არავითარი ბებერი მსაჯული იქ არ გამოჩენილა და სამაგალითო ბავშვს ჯორჯ უილსონს საკმაოდ უცხუნეს, ხოლო საძაგელი ჯიმი უცქეროდა და იცინოდა, იცით რატომ, იმიტომ რომ ჯიმს საშინლად ეჯავრებოდა „სამაგალითო“ და ზნეობრივი ბავშვები. ის ამბობდა: „მძაგს ეგ წვინტლიანებიო“. ასე უხეშად ლაპარაკობდა ეს საძაგელი, უზრდელი ბავშვი.

ყველაზე გასაოცარი ის იყო, რომ საძაგელი ჯიმი კვირა დღეობით ნავზე ცურაობდა და ერთხელაც არ დამხრჩვალა. არასოდეს არ დასცემია მეხი, როცა ქარიშხალს მოუსწვრია უქმე დღეობით თევზაობის დროს. ამავე დროს გადასინჯეთ, რომელიც გინდათ ზნეობრივ შინაარსის წიგნაკი, ათვალიერეთ თითოეული მათგანი თუნდ მომავალ შობის დღესასწაულამდე, ვერსად ვერაფერ ამის მაგვარს ვერ შეხვდებით. თქვენ იქ წაიკითხავთ, რომ ყველა ბავშვები, რომლებიც უქმე დღეობით ნავით ცურაობენ უთუოდ იხრჩობიან, ყველა ურიგო ბავშვები, რომლებსაც უქმე დღით თევზაობის დროს ქარიშხალი მოუსწრებს, მეხისაგან კვდებიან. როგორ გადარჩა ყველა ამას ეგ საძაგელი ჯიმი ჩემთვის დღესაც საიდუმლოებას შეადგენს.

ეს ჯიმი, სწორეთ რაღაც განსაკუთრებულ ბედნიერ ვარსკვლავზე იყო დაბადებული. თითქმის ყველა დანაშაულობათაგან უვნებლათ გამოდიოდა. ერთხელ მთელი პაჩკა თამბაქო შეაპარა სპილოს, მაგრამ წარმოიდგინეთ, გაცოფებულ ცხოველს მისთვის ხორთუმით თავი არ მოუგლეჯია. ჯიმმა სახლიდან ჩუმათ გააპარა მამის თოფი, მთელი დღე ინადირა, მაგრამ არც ერთი თითი არ წაუწყვეტია. ერთხელ საშინლად დაჰკრა მუშტი საფეთქელში თავისს დას, მაგრამ ის არ მომკვდარა მძიმე ტანჯვათა შემდეგ ერთ მშვენიერ ზაფხულის დილას პატიების ტკბილი სიტყვებით ბაგეებზე, რომელმაც დასტანჯა ჯიმის გული: არა. დასასრულ ის გაიქცა თავისს სახლიდან და მეზღვაური გახდა, მაგრამ სამშობლოში დაბრუნების შემდეგ თავი ობლათ და მწუხარეთ არ უგრძნია, როცა ყველა ახლობელი სასაფლაოს წიაღში იხილა და ვაზით დაბურული სახლი ნახევრად ჩამონგრეული. არა, არა! ის სამშობლოში მთვრალი დაბრუნდა და პირველადვე სატუსაღოში ამოჰყო თავი.

ის დავაჟკაცდა, ცოლი შეირთო, მრავალი შვილის მამა შეიქნა და ყველას ცულით თავები დაუჭეჭყა. გამდიდრდა ათასგვარ ურიგო საშვალებით და ის ახლა უსაზიზღრესი პიროვნებაა თავის სამშობლო სოფელში, სადაც სარგებლობს უდიდესი პატივისცემით და ითვლება საკანონმდებლო კორპუსის წევრათ.

როგორც ხედავთ, არც ერთ ზნეობრივ შინაარსის წიგნებში აწერილს უხეირო ჯემსს ისე არ გაჭღიმებია ბედი, როგორც ამ საძაგელ ჯიმს.

წურბელა.

მე ვინა ვარ?

(გაოგვითცნობიერებული)

— მე ვინა ვარ და ერთი ყველაზე უდიდესი და ყველაზე უმცირესი სულიერი არსება.

— რას იცინი? თუ ვერ მიცან, ყური მიგდე და მოგითხრობ ჩემს ვინაობას.

— რომ ამბობენ, მთელი დედამიწისა და მასზე მცხოვრებლების კეთილ-დღეობა დამოკიდებულია დიდ გველვეშაპზე, რომლის ზურგზედაც დედამიწაა აღმართული, სულ ცრუ რწმენაა, ის გველ-ვეშაპი კი არ არის ის მე ვარ და მთელი ქვეყანაც ჩემი საკუთარი ტვირთია...

— ჰმ... რას იცინი? ვერ მიცანი?!

ყური მიგდე და გაჰკვირდი, თვალი გადაავლე დედამიწის ზურგს და დაინახე, რამდენი ქალაქები და ზღვაზე გემები არიან; შეიხედე იმ უზარმაზარ შენობებში, რა ძვირფასი ნივთები და მორთულობაა; გადახედე ამ ქალაქების ურიცხვ გასართობებს; ყური დაუგდე, საცეკვავს მუსიკის ხმას, დააკვირდი ძვირფასეულებით მორთულ, აუარებელ მოტრფიალეებს, შეხედე ქალების ფერ-პუდრ-პომადა-კრემით შეკეკლუცებულს და სურნელოვან წყლებით ნაპკურებ თავ-პირ-ყელ-გულს; ეხლა დააკვირდი, როგორ ლაღობენ და მეტი სიამოვნებით დამთვრალნი დაფაოფატებენ გადაჭარბებულ სიყვარულის ალში; გადახედე საქალაქო და საგარაკო ბაღებს, როგორ მძიმედ დატვირთულა ტკბილი ღიმით მოცული ხალხით; ყური დაუგდე სახელმწიფოებრივ ომის ჭექა-ჭუხილს, სისხლის ნიაღვარს და დღიური მილიონების ფლანგვას.

— აი, ჩემო ხელმწიფევ, ყველა ეს ზემოთ ჩამოთვლილი ჩემი შექმნილი და ჩემი საკუთარი ხარჯია.

შენ კიდევ არა გჯერა!

აი შეხედე, იმ ჩასუქებულ ქალსა და კაცს, როგორ ზიზღით, ამპარტავნულად სტუქსავენ იმ საბრალო კაცს და ვინ არის ამ ბატონების სიკეკლუცე და ამპარტავნული სიამაყე თუ არა მე?

— რას იცინი, მგონი ვერც ეხლა მიცანი!?

მაშ კიდევ გეტყვი: მე ვარ დედამიწის გულში მძრომი და მაღლა მავალი, ზღვის უფსკრულში მაძიებელი და მაღლა მცურავი, დღის ბნელი არსი და ღამის მნათობი...

— რას იცინი? ჩემო გონიერო მოსამსახურევ და შორს მჭვრეტელო ადამიანო? ნუ თუ ეხლაც ვერ მიცანი!? გაიცინე! ეჰ... საბრალო ჩემო თავო, შენც ეს სასაცილო გატირებს!..

დაფლეთილი, გულ-მოღლეტილი, ჭუჭყიანი, პირისსახე დაღარული, ფეხებ დაწყლულ-დაკორძებული შრომის ოფლით აყროლებული, რა საცნობია, რა საძმობია, ან რა ბუზია!..

კლიტე.

ხონელი „ფუტურისტები“.

როცა ხონელ კაცს ანგარიშებში,
თავის უძირო და ვრცელ ჯიბეში,
სიმცირე გროშის შეეპარება
და მით დარდები შეეჯარება,
დაუწყებს ძებნას 'მეცდომებს თვისას,
გადმოაბრუნებს საფულე ქისას,
აქეჭ-დაქეჭავს ძველსა ნაცარსა
და გამონხავს ეგრე ქანქარსა.

—

თქმულება ესე ძველის ძველია,
იქვის შეტანა რაშიც ძნელია,
და თუ მომისმენ, ძმაო ეშმაკო,
გიამბობ ეხლა ამათსა ამბავს,
რაც ძველსა ზღაპრებს მეტად წაგავს:
მატრაპაზების დაბა-ქალაქში
პაოლოს რაზმი გამრავლებულა,
ხურუშიანთა ფუტურისტობა,
ხონის „ქალებშიც“ გავრცელებულა.
ბევრჯერ მსმენია აქაურ ქალთა
სილამაზისა ქება დიდება;
ყველა ამბობდა: „ხონელის სიძე
მოულოდნელათ ფულით მდიდრდება“.
განა არ მახსოვს გიგოს და ბესოს
ქალთა ქორწილი სადიდებელი,
როცა შეინძრენ ჩარჩნი ვაჭარნი
ფული დარიგდა სამდიდრებელი?..
მაგრამ გაფრინდა დრო სანეტარო
სასიძოები გამოილია,
გასათხოვარი ყველა მოხუცდა,
რამეთუ იგიც დროთა შვილია.
მაგრამ ხონელი რის ხონელია,
თუ ვერ იშოვა გამოსავალი
და გაჭივრებას, კარზე მომდგარსა,

დროზე არ დასდვა ღირსი წამალი?
და აჰა ესე ორმოცი წლობით,
უქმროდ შთენილნი დღე, დარაზმულან
და აღჭურვილნი ყოფილის ეშხით
კვლავ გისათხოვრათ ამზადებულან!
და თუ ახერხეს ქმრების წართმევა,
იერიშებით მივლიან ყველგან,
აღარ ითხოვენ ნებართვას შენგან.
გამოაცლიან ოჯახს მამასა,
და მიჰქრის ეტლი იმავ წამასა.
ქეთო, მაშიკო, პატარა კატო,
როდი არიან ამ ჯგუფში მარტო!..
ჩამოთვლით ბევრი ჩამოითვლება,
მაგრამ ჩამოთვლა მეტი იქნება.
მხოლოდ სიმონი, ჩვენი მსაჯული,
ახალი ჯგუფის სული და გული,
ვინ დაივიწყოს, არ მოიგონოს,
როცა ქალები, უქმროდ ნაკრები
გაუთხოვრობით დანაჩაგრები,
მას შეყურებენ ოცნების თვალით
და სიყვარულის ძლიერი ალით
გაუხსნეს გული, წარსტაცეს სული,
და მიჯნურთ შორის ერთი პირველი,
რომელს ეწოდოს „ლამაზი“ ქეთო,
სიმონ ივანიჩს უნდა შეერთო.
მარა ოცნებას გატაცებულთა
წინ გადაუდგა მეუღლე ქმრისა,
ქეთოს ბაზარში სილა გააწნა
დღე გაუთენა მწუხარებისა.
სკანდალსა პირველს მეორე მოჰყვა,
აღარ გათავდა რომანი გრძელი
და ერთ საღამოს, კლუბის დარბაზში,
კვლავ გადმოგორდა ქიშპობა ძველი.
ქეთო, მაშიკო, პატარა კატო,
სხვებიც მრავალი ხონში ცნობილი
ვის მაჭანკლობა დასჩემებია
და თანა ახლავს როგორც აჩრდილი,
სიცილ ხარხარით შეხვდენ ამ ამბავს...
კლუბში გამართეს ღამის ორგია,
ქეიფს და ლხენას ჩვეულებრივათ
მოჰყვა ცბიერი დემაგოგია.
მათი გვარებით თავს არ მოგაწყენ,
სურათებს ვეძებ, დავეხეტები,
და თუ შემიტყვეს ჩემი განზრახვა
მოიმართმბა მარჯვეთ კეტები.
ეს მაგალითი ერთი არ არის,
ის ვაჭართ შორის გავრცელებულა
და ოჯახური ურთიერთობა
მსგავსათ ბევრგანა გამწვავებულა.

—

ნაქები არის ხონი ხრიკებით,
დარწმუნებული რაშიც იქნებით,
მარა ასეთ ხერხს ვინ მოიგონებს,
და ჩამორჩენილ უქმრო „გოგონებს“
ჩამოურიგებს ცოლიან კაცებს,
სამსახურით და ფულებით ნაქებს
და ამა რიგათ, ხერხით ნაცადით
თვით ისარგებლეს სხვისი ნაწალდით.
განა კი ღირდა ამაზე წერა,
გრძელი შაირით გრძელ-გრძელი მღერა?..
მარა, ეშმაკო, ჩემო ძმობილო,
ამა ხალხისგან მარად გმობილო,
თუ ეს დავტოვეთ შეუმჩნეველი,
მაშინ ეს სენი დაუძლეველი,
მყის მოედება ახალგაზრდობას,
გაიდგამს ფესვებს, მოიხვეჭს ნდობას
და ფუტურისტთა გრძნობის ხლრუში,
მოუხეშავი, ტლანქი და მრუში,
ჩასწვდება სულში მოზარდ თაობას
და მით შეაჩვევს ზნეთა ავობას.

მიპლიფონცქი.

ასფალტის ამბორი.

და მე ქეთოს ნახვა მინდოდა...
ლამაზ ქეთოს ნახვა...

მატარებელს გაჩერება არც კი დავაცალე, ბაქანზე გადმოვხტი, რის შემდეგიც იყო ჩემი წაბორძიკება და „ასფალტის“ ამბორი! მამაცად წამოვხტი! სრულებით არ შევიმჩნიე! გავეშურე იქით, სადაც ქეთო მეგულებოდა, მაგრამ ვიღაც ნაცნობმა შემაჩერა და ფეხი არ მომაცვლევინა ვიდრე დაწვრილებით არ გაიგო, რომ ჩემი დედ-მამა, ძმები, დები, მამიდები, დეიდები და სხვანი სრულებით ჯანმრთელათ არიან და მოიკითხეს ის დიდის სიყვარულით და რის შემდეგაც ვიდრე თვით არ დამავალა: დიდის სიყვარულით და ტუჩზე კოცნით მომეკითხა ყველა ზემოხსენებული ჩემი მშობლები და ნათესავები. განვითავისუფლე თავი ამ ტანჯვისაგან და გავეშურე.

ყოველთვის ასე ხდებოდა ხოლმე: ქეთო იდგა სადგურის დარბაზის ბნელ კუნჭულში, არავის ყურადღებას არ აქცევდა, მისჩერებოდა თვისი ეშხიანი თვალებით შემოსასვლელ კარებს და მოუთმენლად ელოდებოდა ჩემს დანახვას.

შევიდოდი თუ არა დარბაზში, წამსვე შევამჩნევდი მას. ქეთო იღიმებოდა. მე ვუახლოვდებოდი, ხელს ვართმევდი მას და... და შემდეგ მივდიოდით ბაღში სასეირნოდ... ძალზე მიყვარდა ქეთო!

ქეთოსაც მეტის-მეტათ ვუყვარდი!

მაგრამ დღეს რაღაც ცუდი ამბავი მომხდარა. ქეთო მის მუდმივ პოზიციაზე აღარ დამხვდა!.. დიდხანს ვიყავ გაშტერებული და შევსცექროდი ბნელ კუნჭულს. ვინ იცის რამდენმა ერთი ერთმანეთზე უსაშინელესმა აზრებმა გამიელვეს თავში.

„ვაი თუ ქეთოს აღარ ვუყვარვარ! ვაი თუ ქეთო მომიკვდა!“..

გარეთ გამოველ. საამური ამინდი იდგა! სწორედ იმისთანა მომხიბლავი ამინდი, რომლის ზედგავლენითაც ისედაც პოეტებით სავსე ჩვენს ქვეყანას ხუთმეტიოდე ახლად გამომცხვარი პოეტი მოემატება! მაგრამ მე კი ვერ გამიქარვა ამან დარდები...

ვეძებე ქეთო, მაგრამ ვერსად ვიპოვე, მისი ბინაც არ ვიცოდი...

—

ერთი თვის შემდეგ, როდესაც ქეთოს ადგილი ჩემს გულში სხვა მასზე უკეთესმა დაიჭირა, შევხვდი მისს ერთ-ერთ მეგობარ ქალს. გამოველაპარაკე. მან მითხრა:

— კაცო, რა იყო რომ ქეთო შეარცხვინე? არ შეიძლებოდა, რომ ცოტა წინ დახედულათ მოქცეულიყავი.

— როგორ?

— ერთ საღამოს თურმე, ქეთო სადგურზე მოგელოდებოდა. შენც მოხველ მატარებლით და პირველად ყოვლისა ბაქანზე გაიშხლართე! დარბაზიდან ქეთომ ყველაფერი ეს დაინახა და ისე შერცხვა შენი ასეთი მარცხისა, რომ წამსვე სახლში გაიქცა და შენი ხსენება სამუდამოდ აღმოიფხვრა გულიდან...

რაღა მეთქმოდა მე ამ სიტყვების შემდეგ?

არც არაფერი ვსთქვი! მხოლოდ ერთი გულიანად გადვიხარხარე.

ახ, ქეთო, ქედო!..

გუგული.

ახალი სტილი

(1 მაისობა 15 მაისში)

I

— გამარცობა ესტატეს?

— გაუმარჯოს ეგნატეს.

— რა დაგემართა, რას იცინი ბიჭო?

— როგორ თუ რა მაცინებს, 1 მაისს ნახალოვკაში გამგეობის უგამგეობობით წარმოდგენა გაღეიდო და ქვეყანა დეიქცა მეგონა, აგერ გვიხედე წარმოდგენა თურმე რაა, მთავარ სახელოსნოში დღეობა გადაახტუნეს ორი კვირით. ალბათ ახალი სტილის მიხედვით.

— რაფერ, კაცო?

— რაფერ და 1 მაისი მუშათა დღეა; ხატმა არ იკადრა მუშებთან დღესასწაული და პირველი მაისი 15 მაისს გაითენა. ჩვენ კი 1 მაისს მუშაობით ღობეზე გადასაკიდებლათ გაგვხადეს. წამოი ერთი ვნახოთ რა ამბავი იქნება.

II

(მთავარ სახელოსნოში)

— ამოი ზევით ეგნატე პარაოზზე, თვარა მაქედან ვერაფერს დაინახავ. გეიხედე! ეგერ რომ პრაპორჩიკის ტანისამოსში გამოწყობილი კაცი დარბის, იგი აქოური დეპოს ნაჩალნიკია, ახლა გადმეიყვანეს მიხაილოვიდან. ოყო... ოჰო რაფერ იკბინება შხამიანი გველივით. ალბათ გულზე სკდება აქაურ მუშებს კასტუმებში რომ ხედავს.

— რავა ტიტველი ხომ არ ივლიან.

— ტიტველი კი არა, იმას უნდა კაკარტებით იყვენ. მიხაილოვის მუშებს რო ტანჯავდა დი სალდათივით სმირნაზე ჩესტით აყენებდა ისეთ უნდა აქაც, მარა ამას წინეთ ერთ მუშას ორი ღერი შეშა მიქონდა თურმე, რავაც დეინახა სტაცა ხელი მისცა სალდათს და გაგზავნა ჟანდარმებთან. როცა თითონაც მიბრძანდა იქ, დაუხვდა სალდათი, შეშა და ჟანდრები.

— ალბათ შეშას ჩამოართვა ჩვენება მუშის ვინაობაზე.

— ჩამოართვეს თურმე მარა ისე გაჯიუტდა თითოეული ნაფოტი, რომ ხმა ვერ ამოაღებინეს.

— გააშეშა ჩემმა გამჩენმა! ფული ვერ მისცეს, რომ ენა ამოეღო?

— ფული კაცო ყველაზე როდი მოქმედობს. აი აგერ რომ კაკარდიანი კაცია ის ჩვენ ბილეთებს კვიწერს. ამ წინაზე ტელეგრამა მივიღე ბავშვი მიკვდებოდა. ვთხოვე ბილეთი და ისიც ისე გაშეშდა, სანამ თხოვნას არწივიანი ქაღალდი არ წავაფარე.

— რას იზამ, ცხოვრება გაძვირდა ძმაო; ეს ვინაა აქ რო იჩაჩხება ასე საშინლათ?

— ეს იაკინთეა. დღეს ცერემონმეისტრობა მიუღია. უყურე როგორ გაიძახის: „სლეზაიტ“, „ზალეზაიტ“, „ვილეზაიტო“!“.

— ეს ორი ვაღაა.

— ესენიც ცერემონ მეისტერერები არიან სოფრომი და სვიმეონი.

— კი მარა რისთვის დააწინაურეს ასე უზომოთ?

— მაგენი ყოველთვის მოწინავე იყვენ.

ალი ძამია.



დეპეშები.

ჭიათურა. სპეკულიანტი მ. ლომაძე პროტესტაცხადებს გოგიას წინააღმდეგ, თითქო ის ისეთი გამოუცდელი ვირთხა იყოს, რომ პირველი ტომას რა ფქვილის გაყიდვისათანავე გაბმულიყოს მახეში. პირიქით, მეორე წელია, რაც ყინულზე ვაცურებ მომხმარებლებსაც და მათ დამცველებსაც.

იქიდანვე. ცნობილი იუმორისტი სესია ლეჟავა უარს ყოფს ხმებს, თითქო ის მუშებს (სასალდათოებს) ქირას აკლებდეს, ან კიდევ, მათგან ქრთამს ღებულობდეს. სესია ამ ხმებს დასელი მუშების უსწავლელობით ხსნის: „რასაც მე (პროფესიის გამო) ხუმრობით ჩავდივარ, ისინი სერიოზულათ ღებულობენო“.

იქიდანვე. ცნობილი ინტრიგონე ჩივანაშვილი მძიმე ავად შეიქნა. მიზეზათ ასახელებენ იშვიათ მოვლენას: წინაზე მიუხედავათ მთელი დღე და ღამე ხიდზე დარაჯობისა, ვერც ერთი მუშა ვერ დაუჭირავს, რომ ჩვეულებრივ გამაძღარიყო რედაქციის და მისი თანამშრომლების ლანძღვა გინებით. ფიქრობენ თბილისიდან მის მეგობარ ექიმის — ლაყბაძის გამოწერას. ადგილობრივი ექიმები იოაკიმეს მეთაურობით იმ აზრის არიან, რომ მას მოარჩენს 4 თავი წამალი: კ. ჩხეიძის ყაჩაღათ აღიარება და კატორღაში გაგზავნა, რომ საშუალება მიეცეს ავათმყოფს მისი ადგილის გაჩუქებისა; არტელის მოწინავეების დახოცვა, რომ გაუადვილდეს გულუბრყვილოების მუშათა სოლიდარობაზე მისისიანება; ყველა მუშის ჭკუიდან შეშლა, ვინც „თ. აზრის“ წინააღმდეგ არ ილაშქრებს და საკუთარ ყოველწუთური გაზეთის დაარსება, რომ რედაქტორობის ჟინთან ერთათ წერის (ე. ი. ლანძღვა-გინების) წყურვილიც მოიკლას. ავადმყოფის მდგომარეობა საშიშია.

ისემცრაგითხრა.



ჟურნალ-გაზეთების კანტორა

„განათლება“

ჯერ-ჯერობით აგენტებს გაეგზავნება შემდეგი გაზეთები: „თანამედროვე აზრი“, „ეშმაკის მათრახი“, „თეატრი და ცხოვრება“, ქუთათური „ახალი კვალი“, „კავკაზსკოე სლოვო“, „თბილისის ლისტოკი“, „ორიზონტი“, „მშაკი“ და „ხათაბალა“.

აგენტები ვალდებულია მთელი თვით დაკვეთილი გაზეთების ფასი წინდა-წინ გადაიხადონ. წინააღმდეგ შემთხვევაში გაზეთები არ გაეგზავნებათ.

ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ, почт.ящ. № 96, Сильвестру Р. Таварткиладзе.

კანტორის ადრესი: ოლგინსკაია, №6.

ნებადართულია სამხ. ცენზორისაგან. სტამბა „შრომა“. რედაქტორ-გამომც. თ. ბოლქვაძე.